



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

2017 წელი 31 ივლისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2017 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2017 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №87 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული მიზნობრივი პროგრამები დანართი №1, №7, №9, №12, №14, №16 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. დამტკიცდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ განსახორციელებელი მიზნობრივი პროგრამები წარმოდგენილი პროექტების მიხედვით.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცების თაობაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე